თინათინ ფხალაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
fkhaladzetiko@yahoo.com
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.81

გოტიკური მოდერნიზმი და ჯოზეფ კონრადის *წყვდიადის გული*

XVIII საუკუნის II ნახევარში ინგლისში თვალშისაცემი ხდება გოტიკური არქიტექტურული სტილის გაბატონება. ამასთან ერთად, ტერმინი „გოტიკური“ გადადის ლიტერატურაში. „გოტიკური“ ან „საშინელებათა“ რომანი ერთგვარი რეაქციაა „გონების საუკუნის“ იდეებზე. იგი, ფაქტობრივად, განმანათლებლური აზროვნების კრიზისის გამოხატულებაა. ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც, პირველ განმანათლებელთა აზრით, ყველაზე „გონივრული“ კანონებით იყო მოწყობილი, სინამდვილეში საოცრად არაბუნებრივი და ადამიანის მიმართ მტრულად განწყობილი იყო. აშკარაა, რომ ადამიანის საღი აზრი ტრაგიკულად უსუსურია ცხოვრებისეული გამოცანების წინაშე. ფეოდალური ბარბაროსობა და რელიგიური სიბნელე შეიძლებოდა „ამა ქვეყნის ძლიერთათვის“ დაებრალებინათ, მაგრამ ვინ იყო დამნაშავე ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ქაოსის ზრდაში? რაციონალური, მეცნიერული მიდგომა ადამიანისადმი და სამყაროსადმი ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას ტოვებდა, ამიტომ გოტიკური ჟანრის ნაწარმოებები შეიძლება განვიხილოთ როგორც საშუალება იმ ირაციონალური მოვლენებისა თუ საკითხების გადაჭრისა, რომლებიც განმანათლებლობამ აუხსნელი დატოვა. შესაბამისად, გოტიკური რომანის ავტორთა შემოქმედება შეფარული პოლემიკაა განმანათლებლურ რეალიზმთან. სიუჟეტში იკვეთება ჩახლართული ინტრიგა, „დაწყევლილი ოჯახი“, ზებუნებრივი მოვლენები, საიდუმლოებების, შურისძიე-ბისა თუ სიკვდილის მოტივები, სექსუალობისა და ინცესტის თემატიკა. XVIII საუკუნის კარგად ნაცნობ ინგლისს ცვლის შუა საუკუნეების იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი და ზოგჯერ - შორეული აღმოსავლეთი. ჩვეულებრივ, ის ასახავს დაცემულ საზოგადოებას, რომელშიც სუფევს ბოროტება, მანკიერი გმირები და საშინელი ბოროტმოქმედები. ამავდროულად, საზოგადოება შეიძლება სიბნელიდან გამოვიდეს პერსონაჟის მეშვეობით, რომელიც ბოროტების წინააღმდეგ იბრძვის, თუმცა შეიძლება განვითარდეს საპირისპირო სიუჟეტიც, რომელიც მოგვითხრობს უსამართლო საზოგადოებაში კეთილშობილი პროტაგონისტის გაბოროტებაზე. ტერეზა გოდუს მონოგრაფზე დაყრდნობით, გოტიკური რომანის შემდეგი ძირითადი ნიშან-თვისებები შეიძლება გამოვყოთ:

- მოქმედების ადგილი - გოტიკური ციხე-სიმაგრე, მონასტერი, ლაბირინთი, სარდაფი ან/და სასაფლაო;
- შემაძრწუნებელი ლანდშაფტი - გაუვალი ტყეები, უსწორმასწორო კლდეები, ნისლით მოცული ჭაობიანი ადგილები;
- ზებუნებრივი, ამოუხსნელი მოვლენები: უსიცოცხლო არსებების გაცოცხლება, აჩრდილები, სულები, ვამპირები, გიგანტური არსებები;
- ავისმომასწავებელი წინათგრძნობა, ხილვა;
- წარსულის ტვირთი, წინასწარმეტყველება თუ ოჯახური წყევლა;
- კოშმარები, რომლებიც პერსონაჟების შიშებს აღწერენ;

- საშიში მოვლენები მათი ფანტაზიებისა თუ სიზმრების მეშვეობით წარმოგვიდგება უმეტესწილად, რაც ავტორს საშუალებას აძლევს, უკეთესად წარმოაჩინოს პერსონაჟის ემოციები და განცდები;
- ძლიერი, ვნებიანი მამაკაცები და ჩაგრული ქალები;
- ბოროტმოქმედი, როგორც წესი, გავლენიანი მამრობითი სქესის პერსონაჟია;
- კეთილი ადამიანის მოგვიანებით ბოროტად გადაქცევა;
- შურისძიების თემა {Goddu, 1997: 25}.

საინტერესოა, რომ ბევრი ელემენტი გოტიკურმა ჟანრმა „ისესხა“ სენტიმენტალიზმის ესთეტიკისგან, კერძოდ - „სასაფლაოს პოეზიის“ თემები და პოეტიკა. სწორედ „სასაფლაოს პოეზიაში“ პირველად გვხვდება სიბნელის მოტივი, რომელიც უპირისპირდება განმანათლებლობის სინათლეს. XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე პოლონური წარმოშობის ინგლისელი მწერალი ჯოზეფ კონრადი სამართლიანად მიიჩნევა მოდერნიზმის ერთ-ერთ წინამორბედად. ლიტერატურული გოტიკის კონვენციების კონრადისეული მოდიფიკაციები, მწერლის მხატვრული მეთოდის სხვა კომპონენტებთან ერთად, ნიადაგს უმზადებს გოტიკური მოდერნიზმ/ებ/ის ჩამოყალიბებას. ჯოზეფ კონრადის *წყვდიადის გული* (*Heart of Darkness*, 1899) გოტიკური პროზის ტრადიციის მხატვრული გადამუშავების ოსტატური მცდელობაა. მისი პოეტიკისათვის ნიშანდობლივია მითოსის გამოყენება ჰეტეროგენული ტექსტუალური მასალაის ჰარმონიულ მხატვრულ მთლიანობად გარდასახვის მიზნით, მისტიკური ატმოსფერო და გოტიკური რომანისათვის დამახასიათებელი პირქუში და აბსურდული გარემო. ნაწარმოების მხატვრული სამყარო პრობლემათა ურიცხვ რაოდენობას მოიცავს, მაგრამ მათზე მსჯელობისას ძნელია ერთმანეთისაგან გამოვაცალკევოთ ძირითადი და მეორეხარისხოვანი - ყველა თემატური, მსოფლმხედველობრივი თუ პოეტიკური ასპექტი ისეა გადახლართული, რომ თითქმის წარმოუდგენელია მათი დაშლა.

წყვდიადის გული 1890 წლის ივნისში ბელგიურ კონგოში რეალურ მოგზაურობას ეფუძნება. 1890 წელს მწერალი მონაწილეობას იღებდა ექსპედიციაში, რომელიც აფრიკაში შეღწევას ცდილობდა და შესაბამისად შემოივლიდა ბელგიის იმპერიის საზღვრებს მდინარე კონგოზე. მწერალი იქედან დაბრუნდა დასნეულებული, ზნეობრივად შეძრწუნებული სისასტიკისა და კორუფციის ხილვით. კონგოზე უმანკო ცხოველი ვიყავიო, ამბობდა იგი. რომანში გადმოცემულია გამოცდილება და თავგადასავალი,რაც თავს გადახდა მის პერსონაჟს, ჩარლზ მარლოს, ვისაც ლონდონის მწუხრიდან გადავყავართ პირქუშ ბრიუსელში და მერე დაუნდობელსა და სასტიკ მდინარე კონგოზე და მიგვიძღვება მის სიღრმეებში, სავაჭრო კომპანიის შიდა სადგურებისკენ.

წიგნის სათაური სიმბოლურია. მკითხველმა წიგნის ხელში დაჭიერისთანავე უნდა გაიაზროს, რომ აქ მოცემული წინადადებების პირდაპირი მნიშვნელობით აღქმა და შესაბამისად აზრის გამოტანა სიმბოლოთა გაშიფვრის გარეშე შეუძლებელი იქნება.

ჯუნგლებში მოგზაურობა არის მეტაფორა, ან სიმბოლო ადამიანის მოგზაურობისა მისივე შინაგან სამყაროში, მის სულში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უდაბნოში მოგზაურობა შეიძლება გავიგოთ, როგორც მოგზაურობა ედემში, ან მსოფლიოს დასაწყისში, ან სულაც აღვიქვათ ეს გზა, როგორც ცოდვებისა და მათი გამოსყიდვის მეტაფორა.

ჩარლზ მარლო, წიგნის მთავარი პერსონაჟი, ლონდონიდან ჯერ პირქუშ ბრიუსელში, შემდგომ კი დაუნდობელსა და სასტიკ მდინარე კონგოზე აღმოჩნდება და მიილტვის მის სიღრმეში, სავაჭრო კომპანიის შიდა სადგურისაკენ. კონრადის მკვლევრების აზრით, ესაა

სწრაფვა ცივილიზაციიდან ამაოებისაკენ, სიცარიელისა და ბოროტებისაკენ, წყვდიადისა და სამყაროს საწყისებისაკენ. ნაწარმოები განიხილება, როგორც აფრიკაში ევროპული კოლონიური მმართველობის კრიტიკა, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ძალაუფლების დინამიკისა და მორალის გოტიკური თემები.

ჯოზეფ კონრადმა მიმართა კოლონიალიზმის ჯოჯოხეთურ მემკვიდრეობას *წყვდიადის გულში*, რითაც, ფაქტობრივად, თანამედროვე/მოდერნისტულ გოტიკას დაუდო სათავე. ამ ტექსტმა საუკუნოვანი დებატები გამოიწვია. კონრადს რომანტიკასა და რეალიზმს შორის არსებული უფსკრული რომ ეჩვენებინა, შეგნებულად აირჩია გოტიკური სტილი მესამე სამყაროს ქვეყნების ექსპლუატაციის წარმოსაჩენად. ჩარლი მარლოუ, კონრადის გმირი, შენიშნავს: "They were no colonists; their administration was merely a squeeze.They were conquerors, and for that you want only brute force . They grabbed what they could get for the sake of what was to be got." {2: 9]. („კოლონისტები არ იყვნენ; მათი ადმინისტრაცია უბრალოდ სულთამხუთავი იყო. ისინი დამპყრობლები იყვნენ, რისთვისაც მხოლოდ ბრმა, ველური ძალაა საჭირო. ისინი ძალით ითვისებდნენ ყველაფერს, რისი მითვისებაც კი შეიძლებოდა."[1]). მარლოუ თავს გამართლებულად გრძნობს თავის დაგმობაში: "It was just robbery with violence, aggravated murder on a grand scale, and men going at it blind—as is very proper for those who tackle a darkness." {2: 9]. („ეს იყო პირწმინდა ძარცვა, რომელსაც თან ახლდა ძალადობა და ფართომასშტაბიანი ხოცვა-ჟლეტა, და ადამიანები ამაზე თვალს ხუჭავდნენ, როგორც მათ შეჰფერის, ვინც ველურების მოთვინიერებას ცდილობს").

ახალბედა მარლოუს უდანაშაულობის, უმანკოების აღსანიშნად მწერალი მარლოუს იალქანს არქმევს გოგონას სახელს „ნელი". რომანის ბოლოსთვის მარლოუ აღარ არის უცხო ქვეყანაში. სათაური მიგვანიშნებს იმ შემზარავ ჭეშმარიტებაზე, რომელსაც მარლოუ ხვდება, როდესაც აფრიკის გულს მიაღწევს. ტანჯვით შეპყრობილი მარლოუ აგრძელებს თავის ჰიპნოზურ ზღაპარს ამბიციების შესახებ, რომელიც უკვე გადაქცეულია ამაზრზენ ბოროტებად, რაც განაპირობა იმ ველურმა, ბნელმა, გარემომ, რომელსაც ყოველდღიურად ხედავს. ევროპის წარსული ცოდვების გასადევნად კონრადი მიმართავს კოლონიალიზმის დემონიზაციას მტკივნეულად ნელი თხრობის მეშვეობით. ნავი თანდათან აღწევს შიდა კონგოში ორი სიმბოლური პერსონაჟით ბორტზე - ბუღალტერი და იურისტი სიხარბისა და სამართლებრივი კორუფციის სიმბოლოებია კოლონიური იმპერიების გაპარტახების ეპოქაში. კონრადის მიერ ბელგიის მეფის ლეოპოლდ II-ის რასისტული იმპერიალიზმის გმობის მთავარი აზრი კურცის, დემონური თეთრი ფაუსტის, დეგრადაციაა, კაცისა, რომელიც უარს ამბობს კოლონიალურ ფულის შემქმნელებთან ხელშეკრულების შესრულებაზე და ნამდვილ ეშკამად იქცევა. კურცი *წყვდიადის გულის* კიდევ ერთი მთავარი პესონაჟია. იგი პროტოტიპია 19-ე საუკუნის ბრიტანელი კოლონიზატორების, რომლებიც ქრისტიანობისა და ცივილიზაციის გავრცელების სახელით შაშინელებებს ჩადიოდნენ აფრიკის კონტინენტზე და იქაური მოსახლეობის სასტიკ ექსპლუატაციას ეწეოდნენ. კურცი ნაწარმოებში აფრიკელთა ბელადად იქცევა და სპილოს ძვლის ექსპორტს ეწევა. როგორც დავით ტაკიძე აღნიშნავს, იგი, ფაქტობრივად, კონკისტადორის არქეტიპული სახეა. კურცი ვირგილიუსის ენეასის მსგავსად ცდილობს მოიპოვოს ძალაუფლება, ოღონდ ქალაქის აშენების ნაცვლად (როგორც ვიცით, ენეასი რომს დააარსებს, კურცს მხოლოდ განადგურება მოაქვს აფრიკისთვის [3: 377}. საბოლოო

[1] ყველა ინგლისურენოვანი ციტატის ქართული თარგმანი, სადაც წყარო მითითებული არ არის, ეკუთვნის სტატიის ავტორს.

ჯამში, კურცი კვდება არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ის მორალურადაც ნადგურდება, რისი შედეგიც არის მისი შეძახილი: „საშინელება, საშინელება!“ ანტიკურობასთან დაპირისპირებით, კერძოდ კურცისა და ენეასის შეპირისპირებით, კონრადი იძლევა გოტიკური მოდერნიზმისათვის დამახასიათებელ ეფექტს. მართლაც, სისასტიკე, ძალმომრეობა და მორალური დაცემა ადამიანისა, რომელიც ასახულია *წყვდიადის გულში*, თავისი ტრაგიზმით ანტიკურ ეპოსს უკავშირდება. კურცს აღაფრთოვანებს მისივე მსხვერპლი შავკანიანი ადამიანების თავის ქალებით ღობეების გაფორმება, საღამოობით დამონებული ველური შავკანიანების მუსიკაზე ცეკვა და ბნელ რიტუალებში მოანწილეობის მიღება.

ზნეობრივი დაცემის კვალდაკვალ, მისი ხელწერაა შავკანიანი აფრიკელების განადგურება. მდინარე კონგოს გასწვრივ მისი მტაცებლობის დასასრულს კურცი განწირულია სიკვდილისათვის, იმისათვის, რომ დაემსგავსოს ისეთ მოჩუქურთმებულ სპილოს ძვლის თავს, როგორიც მან ადგილობრივებს ბლომად გამოძალა.

შემზარაობის განცდას მარლოუს მთელ მოგზაურობის მანძილზე თან სდევს. აბსურდი, რომლითაც მიგი ახასიათებს საკუთარ თხრობას, წყვდიადის გულის მთელ მხატვრულ სამყაროს მსჭვალავს და თითქმის ყველა დეტალს მოიცავს. მარლოუს ხატოვან მეტყველებაში თვით პარადოქსებიც ისეა „შეფუთული“, რომ მათ მხოლოდ დაკვირვების უნარით აღჭურვილი მკითხველი შეამჩნევს, მაგრამ მასაც გაუჭირდება იმ საღი აზრის დაჭერა, რომელიც ამ პარადოქსებში ლოგიკურ წინააღმდეგობას მოხსნის და მათ აბსურდისაგან განასხვავებს. აბსურდი *წყვდიადის გულში* ყველა დონეზეა ჩადებული – როგორც თხრობითი სიტუაციების წარმოსახვაში, ისე პერსონაჟთა პორტრეტებში, წინადადებების ლოგიკურ-სემანტიკურ აგებულებასა და გამეორებად სახეთა მონაცვლეობაში. სამყაროს ალოგიკურობას, მის აბსურდულობას და, აქედან გამომდინარე, შეუცნობადობას გამოხატავს მოთხრობაში წარმოსახული სიუჟეტური სიტუაციებიც. სიტუაციური აბსურდია, მაგალითად, ის, რომ, მარლოუს აღწერით, ფრანგების სამხედრო გემი აფრიკის ნაპირთან დგას და თავის ზარბაზნებს უკაცრიელ სანაპიროს უშენს:

> In the empty immensity of earth, sky, and water, there she was, incomprehensible, firing into a continent. Pop, would go one of the six-inch guns; a small flame would dart and vanish, a little white smoke would disappear, a tiny projectile would give a feeble screech—and nothing happened. [2: 21]
>
> ცარიელ უსაზღვროებაში დედამიწისა, ცისა და წყლისა, გემი იდგა, მიუწვდომელი, და კონტინენტს ბომბავდა ... ბუჰ, გაისროდა ერთ-ერთი ექვს დუიმიანი ზარბაზანი; გამოვარდებოდა მცირე ცეცხლი და გაჰქრებოდა, გაიფანტებოდა ერთიბეწო თეთრი ბოლი, სუსტად დაიწივლებდა პატარა ყუმბარა და არაფერიც არ ხდებოდა [2: 102}

თემურ კობახიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ *წყვდიადის გული* თითქოს იმთავითვე „ამოვარდნილი“ იყო თავისი ეპოქის კულტურული კონტექსტიდან. დრო, როდესაც ის იქმნებოდა ინგლისურ ლიტერატურაში, ცნობილია, როგორც გვიანი რომანტიზმის, ვიქტორიანული რეალიზმისა და დეკადენტური ესთეტიზმის თანაარსებობის ხანა. ვიქტორიანულ ესთეტიკას ხარკს უხდიდა იმ დროის ყველა, ან თითქმის ყველა ინგლისელი მწერალი {კობახიძე, 2021: 156}. მართლაც, ჯოზეფ

კონრადის *წყვდიადის გული*, ისევე როგორც ორი წლით მასზე ადრე შექმნილი *ზანგი 'ნარცისიდან'* და ოდნავ მოგვიანებით გამოქვეყნებული *ლორდ ჯიმი*, ძნელად აღიქმება ამ ლიტერატურული და კულტურული კონტექსტის ნაწილად – ის სრულიად სხვა ეპოქის დასაწყისს მოასწავებს. ტენდენცია, რომელსაც იმ დროს კონრადი უყრის საფუძველს, მეოცე საუკუნეში გრძელდება და მისი კვალი ყველაზე მკაფიოდ გოტიკურ მოდერნიზმში ცნაურდება. *წყვდიადის გული* თითქოს თავისით „ითხოვს" მოდერნიზმის კონცეპტუალურ-ესთეტიკური პარადიგმის კონტექსტში, განსაკუთრებით კი, გოტიკური მოდერნიზმის ესთეტიკასთან მიმართებაში ინტერპრეტაციას.

ლიტერატურა:

1. კობახიძე, თემურ. „მითოპოეტიკური სივრცე და გზის მითოლოგემა ჯოზეფ კონრადის ნოველაში *წყვდიადის გული*". *სჯანი*, # 22, 2021: 130-160.

2, კონრადი, ჯოზეფ. *წყვდიადის გული*. ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი", 2018.

3. ტაკიძე, დავით. „მითოსი კონრადის რომანებში „წყვდიადის გული" და „ნარცისის" ნეგრი". *ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები*. XIV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალების კრებული. თბილისი, 2020: 371-379.

4. Conrad, Joseph. *Heart of Darkness*. H.-M.: Penguin Books, 1983.

5. Goddu, Teresa A. *Gothic America: Narrative, History, and Nation*. New York: Columbia University Press, 1997.

Tinatin Pkhaladze

Akaki
Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Gothic Modernism and Joseph Conrad's *Heart of Darkness*

Abstract

By the 1920s, Conrad was considered a leading modernist writer. Modernism was an experimental artistic movement that took place from the late 19th to the mid-20th century. The main theme of Joseph Conrad's novels is alienation.

Conrad depicts cultural, political, and aesthetic dimensions of modernism not only by questioning the past but by drawing as well on a wealth of cultural material and precursor genres rooted in Gothic conventions. The picture of modernism suggested by author presents multiple perspectives on thematically disparate yet culturally intertwined issues such as ethnicity and espionage, consciousness and electricity, formalism and sensation, and homosexuality and tourism.

From the viewpoint of the genre, *Heart of Darkness* comprises all the features that pertain to modernist fiction - the novella, published as early as in 1899, predates the golden age of modernism by quite a period of time. Mythopoeic space of modernist work represents its inner dimension, rife with images of symbolic and archetypal significance and their connotations. Conceptually, Conrad's *Heart of Darkness* pays homage to existentialism, yet by the time of its creation the existentialist worldview was not dominant in European consciousness. The illogical, absurd images of *Heart of Darkness* have

no specific conceptual denotata – the novella is basically 'non-mimetic'; it does not aim at authentic depiction of the environment and action (space and time) that it narrates about. The novella's system of images only formally corresponds to the environment declared as its place of action, as a result of which this space itself becomes an abstraction.

Conrad's most famous novella, *Heart of Darkness*, is a psychological exploration of the horrors of empire set in the Congo. The novel is full of gothic imagery and symbolism. It is impossible to read this novel and guess immediately what is going on. It is told by a sailor, Charlie Marlow, who recounts his nightmarish journey into the Congo - Africa's geographical "heart of darkness"- where he meets the deranged ivory trader, Kurtz, with whom he becomes obsessed. In the present paper I have tried to demonstrate the ways in which Conrad reinterprets and/or modifies Gothic conventions, exerting influence of Gothic modernism. Conrad is considered an Early Modernist writer as his writing style moved away from the Gothic traditions as well as Edwardian writing conventions and towards the experimentations associated with the Modernist movement.